პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---აპრილი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გვაზაურის II შესახვევისთვის გეოლოგის, აკადემიკოსის გიორგი ძოწენიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, გვაზაურის II შესახვევს მიენიჭოს გეოლოგის, აკადემიკოსის გიორგი ძოწენიძის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X:482624 Y:4623022
X:482718 Y:4622865
X:482778 Y:4622849
გიორგი ძოწენიძის ქ.
X:482812 Y:4622817
X:483054 Y:4622733
X:483028 Y:4622687
X:483066 Y:4622628

GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

0108 Tbilisi, Georgia
52 Rustaveli ave.
Office of The President
Tel/Fax.:(+995 32) 299 88 91
E-mail: roin@metreveli.co

0108 თბილისი,
რუსთაველის გამზ. 52
ტელ/ფაქსი: (+995 32) 299 88 91;
ელ. ფოსტა: roin@metreveli.co

010107-465/264
13.09.2024

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს,
ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ ა. წ. 06.06. #010107-465/163 წერილით (დანართი 1), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ მოგმართათ თხოვნით რათა თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლოების კომისიას შეესწავლა, მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, გამოჩენილი ქართველი გეოლოგის, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, სტალინური და ლენინური პრემიების ლაურეატის, აშშ-ს, კანადის, ავსტრიის, ბულგარეთის გეოლოგიური საზოგადოებების საპატიო წევრის, აღმოსავლეთ ევროპის და ჩრდილო-დასავლეთ აზიის რეგიონალური გეოლოგიური სამეცნიერო კომისიების თავმჯდომარის, საქართველოს ბუნების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის და ა. შ.. 40 წლის წინ მინიჭებული გიორგი ძოწენიძის სახელობის ქუჩის სახელის გადარქმევის საკითხი.

სამწუხაროდ, არავითარი რეაგირება თქვენი მხრიდან ამ წერილს არ მოჰყვა.

იძულებულები ვართ ხელმეორედ მოგმართოდ იგივე თხოვნით და იმედს ვიტოვებთ, რომ ამ ჯერზე ეს საკითხი მოგვარებული იქნება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

0108 თბილისი, რუსთაველის გამზ. 52
დეპეშებისათვის: თბილისი 0108, მეცნიერება
ტელ./ფაქსი: +(995 32) 299-00-52
+(995 32) 299-88-91
ელ. ფოსტა: chancellery@science.org.ge
president@science.org.ge

„06" 06 2024წ.
№ 01/01/7-465/163
თქვ. №

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს,
ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას განცხადებით მოგვმართა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, 1990 წლის მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ბ-მა ზურაბ ძოწენიძემ იმასთან დაკავშირებით, რომ მისი მამის, მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, გამოჩენილი ქართველი გეოლოგის, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, სტალინური და ლენინური პრემიების ლაურეატის, აშშ-ს, კანადის, ავსტრიის, ბულგარეთის გეოლოგიური საზოგადოებების საპატიო წევრის, აღმოსავლეთ ევროპის და ჩრდილო-დასავლეთ აზიის რეგიონალური გეოლოგიური სამეცნიერო კომისიების თავმჯდომარის, საქართველოს ბუნების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის და ა. შ.. გიორგი ძოწენიძის სახელობის ქუჩა, რომელიც უერთდებოდა საბურთალოს რაიონის ნუცუბიძის ქუჩას და რომელსაც ეს სახელი 40 წლის წინ მიენიჭა. როგორც შევიტყვეთ, საკრებულოს შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით ეს სახელი გადაურქმევიათ. სრულიად გაურკვეველია ამ გადაწყვეტილების მიზეზი. ვფიქრობთ, დაუშვებელია ამგვარი მოქცევა ღირსეული პიროვნების და დიდი მეცნიერის მიმართ, რომელმაც ქვეყნის აღმშენებლობასა და ქართული მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა.

იმედს ვიტოვებთ, რომ თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლოების კომისია გაითვალისწინებს მის მიერ დაშვებულ შეცდომას და გამონახავს ღირსეულ გამოსავალს ამ სიტუაციიდან.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

0108 თბილისი, რუსთაველის გამზ. 52
დეპეშებისათვის: თბილისი 0108, მეცნიერება
ტელ./ფაქსი: +(995 32) 299-00-52
+(995 32) 299-88-91
ელ. ფოსტა: chancellery@science.org.ge
president@science.org.ge

"18" 03 2025 წ.
№ 010107-465/58
თქვ. №

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს,
ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

მესამედ მოგმართავთ თხოვნით განიხილოთ 2024 წლის 06.06. #010107-465/163 და 13.03.2024 #010107-465/ 264 წერილები (დანართი 1), რომლითაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ მოგმართათ, რათა თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას განეხილა, მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, გამოჩენილი ქართველი გეოლოგის, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, სტალინური და ლენინური პრემიების ლაურეატის, აშშ-ს, კანადის, ავსტრიის, ბულგარეთის გეოლოგიური საზოგადოებების საპატიო წევრის, აღმოსავლეთ ევროპის და ჩრდილო-დასავლეთ აზიის რეგიონალური გეოლოგიური სამეცნიერო კომისიების თავმჯდომარის საქართველოს ბუნების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის და ა. შ., გიორგი ძოწენიძის სახელობის ქუჩისათვის სახელის გაუქმების საკითხი. ეს სახელი ქუჩას 40 წლის წინ მიენიჭა და მისი ანულირება გაუგებარი მიზეზით მოხდა. წელს ბატონი გიორგი ძოწენიძის საიუბილეო თარიღია, მას 115 წელი შეუსრულდებოდა.

ბატონო გიორგი,

იმედს ვიტოვებთ, რომ თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლოების კომისია მოაგვარებს აღნიშნულ პრობლემას და აღადგენს სამართლიანობას.

პატივისცემით,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
პრეზიდენტი, აკადემიკოსი ეროინ მეტრეველი

GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

0108 Tbilisi, Georgia
52 Rustaveli ave.
Office of The President
Tel/Fax.:(+995 32) 299 88 91
E-mail: roin@metreveli.co

0108 თბილისი,
რუსთაველის გამზ. 52
ტელ/ფაქსი: (+995 32) 299 88 91;
ელ. ფოსტა: roin@metreveli.co

010107-465/264
13.09.2024

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს,
ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ ა. წ. 06.06. #010107-465/163 წერილით (დანართი 1), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ მოგმართათ თხოვნით რათა თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლოების კომისიას შეესწავლა, მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, გამოჩენილი ქართველი გეოლოგის, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, სტალინური და ლენინური პრემიების ლაურეატის, აშშ-ს, კანადის, ავსტრიის, ბულგარეთის გეოლოგიური საზოგადოებების საპატიო წევრის, აღმოსავლეთ ევროპის და ჩრდილო-დასავლეთ აზიის რეგიონალური გეოლოგიური სამეცნიერო კომისიების თავმჯდომარის, საქართველოს ბუნების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის და ა. შ.. 40 წლის წინ მინიჭებული გიორგი ძოწენიძის სახელობის ქუჩის სახელის გადარქმევის საკითხი.

სამწუხაროდ, არავითარი რეაგირება თქვენი მხრიდან ამ წერილს არ მოჰყვა.

იძულებულები ვართ ხელმეორედ მოგმართოდ იგივე თხოვნით და იმედს ვიტოვებთ, რომ ამ ჯერზე ეს საკითხი მოგვარებული იქნება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

0108 თბილისი, რუსთაველის გამზ. 52
დეპეშებისათვის: თბილისი 0108, მეცნიერება
ტელ./ფაქსი: +(995 32) 299-00-52
+(995 32) 299-88-91
ელ. ფოსტა: chancellery@science.org.ge
president@science.org.ge

„06" 06 20[illegible]წ.
№ 010107 – 465/1[illegible]
თქვ. №

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს,
ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას განცხადებით მოგმართა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, 1990 წლის მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ბ-მა ზურაბ ძოწენიძემ იმასთან დაკავშირებით, რომ მისი მამის, მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, გამოჩენილი ქართველი გეოლოგის, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, სტალინური და ლენინური პრემიების ლაურეატის, აშშ-ს, კანადის, ავსტრიის, ბულგარეთის გეოლოგიური საზოგადოებების საპატიო წევრის, აღმოსავლეთ ევროპის და ჩრდილო-დასავლეთ აზიის რეგიონალური გეოლოგიური სამეცნიერო კომისიების თავმჯდომარის, საქართველოს ბუნების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის და ა. შ.. გიორგი ძოწენიძის სახელობის ქუჩა, რომელიც უერთდებოდა საბურთალოს რაიონის ნუცუბიძის ქუჩას და რომელსაც ეს სახელი 40 წლის წინ მიენიჭა. როგორც შევიტყვეთ, საკრებულოს შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით ეს სახელი გადაურქმევიათ. სრულიად გაურკვეველია ამ გადაწყვეტილების მიზეზი. ვფიქრობთ, დაუშვებელია ამგვარი მოქცევა ღირსეული პიროვნების და დიდი მეცნიერის მიმართ, რომელმაც ქვეყნის აღმშენებლობასა და ქართული მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა.

იმედს ვიტოვებთ, რომ თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლოების კომისია გაითვალისწინებს მის მიერ დაშვებულ შეცდომას და გამონახავს ღირსეულ გამოსავალს ამ სიტუაციიდან.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი

ქალაქ თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილს

აკადემიკოს გიორგი ძოწენიძის ოჯახის წევრთა

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ამ დღეებში სრულიად შემთხვევით შევიტყვეთ, რბილად რომ ვთქვათ, უსიამოვნო ამბავი თბილისის მერიის მიერ ნუცუბიძის პლატოზე მდებარე გიორგი ძოწენიძის სახელობის ქუჩისათვის სახელის გადარქმევის შესახებ. ასეთი გადაწყვეტილება, ჩვენის აზრით, სრულიად უსამართლო და არალოგიკურია.

გიორგი ძოწენიძე იყო გამოჩენილი მეცნიერი, გეოლოგი, სსრკ-ს და საქართველოს აკადემიების წევრი, სტალინური და ლენინური პრემიების ლაურეატი (ლენინის და სტალინის სახელებმა შეცდომაში არავინ არ უნდა შეიყვანოს. ეს პრემიები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ ჯილდოებად განისილებოდა), საერთაშორისო აღიარების და ავტორიტეტის მეცნიერი, ინგლისის, აშშ-ს, კანადის, ავსტრიის, ბულგარეთის სამეცნიერო საზოგადოებების საპატიო წევრი, სსრკ გეოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, აღმოსავლეთ ევროპის და ჩრდილო-დასავლეთ აზიის რეგიონალური გეოლოგიური სამეცნიერო კომისიების თავმჯდომარე, თბილისის ი.ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, სსრკ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდიუმების წევრი, საქართველოს საზოგადოება ცოდნის თავჯდომარე, საქართველოს ბუნების დაცვის კომიტეტის თავჯდომარე და ა.შ. უფრო გასაგები რომ იყოს, ვიტყვით, რომ ამ დონის ოფიციალური აღიარება და ტიტულატურა საქართველოში მის გარდა მხოლოდ ნიკო მუსხელიშვილს და ალბათ ვეკუას ქონდათ. სწორედ ამ გარემოების გამო მიენიჭა ქუჩას მისისახელი,როგორც მეცნიერის და არა როგორც პარტიული ფუნქციონერის, როგორც ზოგიერთების გონიათ, თუმცა.

შეგახსენებთ, რომ იმ ავბედით საბჭოთა დროსაც კი (იმ საუკუნის 50-იანი წლებიდან), პარტიული ფუნქციონერების სახელებს ქუჩებს და ქალაქებს აღარ არქმევდნენ. ცნობისათვის, თბილისში არ იყო თვით რესპუბლიკის პირველი პირების, ცკ-ს პირველი მდივნების სახელობის ქუჩებიც კი, არც კანდიდ ჩარკვიანის, არც აკაკი მგელაძის, არც ვასილ მჟავანაძის. რაც შეეხება გიორგი ძოწენიძის „პარტიულ ფუნქციონერობას", ეს არის აბსურდი, როგორც საბჭოთა,ისე დღევანდელი კანონმდებლობის თვალსაზრისით, ვინაიდან თანამდებობა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარისა, იყო არჩევითი და ქონდა ფორმალური, ძალზე შეზღუდული ფუნქციები, თითქმის ზუსტად ისეთი, როგორიც დღეს საქართველოს პრეზიდენტს გააჩნია.

ვფიქრობთ, საკრებულოს შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების მიზეზი იყო არაინფორმირებულობა (თუმცა საკმარისი იყო მხოლოდ ენციკლოპედიაში ჩახედვა ან გუგლ-ში მოძიება).

თბილისში მრავალი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის სახელობის ქუჩაა და არ იქნება არც ლოგიკური და არც სამართლიანი მათ შორის არ იყოს გიორგი ძოწენიძის სახელობის ქუჩა, რომელიც თავისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ღვაწლით უთუოდ იმსახურებს ამას, რაც კიდევაც იყო აღსრულებული საბჭოთა პერიოდში, მიუხედავად იმდროინდელი ხელისუფლების მის მიმართ არც თუ სულ ჯანსაღი კეთილგანწყობისა.

ამდენად, გაუგებარია ასე უცერემონიოდ ქუჩისათვის მისი სახელის წართმევა, რომელსაც ეს სახელი მიენიჭა 40-ზე მეტი წლის წინ, რომელსაც მანამდე სახელი საერთოდ არ გააჩნდა. ასე რომ, განსხვავებით ზოგიერთებისაგან, გიორგი ძოწენიძეს არც არავის სახელობის ქუჩა მიუთვისებია და არც არავის სახელი წაუშლია.

რამაზ ჩხიკვაძე უთუოდ იმსახურებს პატივს, როგორც გამოჩენილი, ძალზე ნიჭიერი მსახიობი, რომ თბილისში რომელიმე ქუჩა მის სახელს ატარებდეს, მაგრამ არა სხვისი სახელობის ქუჩის მიტაცების ხარჯზე. რამაზ ჩხიკვაძის, თუნდაც უმაღლესი დონის მსახიობის, თანაზომიერი თეატრის და კინოს არტისტები საქართველოში ათეულობით შეიძლება ჩამოითვალოს, გიორგი ძოწენიძე კი უკვე მარადისობაში წასული მეცნიერების სამეულში რჩება.

იმედს ვიტოვებთ,რომ თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია გაითვალისწინებს მის მიერ დაშვებულ შეცდომას და მოძებნის ღირსეულ გამოსავალს მის გამოსასწორებლად. ეს მისი სახელმწიფოებრივი და ზნეობრივი ვალია.

1990 წლის მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ზურაბ ძოწენიძე

საქ.მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბიოლოგიურ მეცნ. დოქტორი, პროფესორი გიორგი ნახუცრიშვილი

ფილოლოგიურ მეცნ.დოქტორი, პროფესორი ნიკო ლეონიძე

ჟურნალისტიკის აკადემიური დოქტორი, გიორგი ლეონიძე

მწერალი, გაგა ნახუცრიშვილი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

თავმჯდომარეს ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მოქ: [illegible]

მცხ: [illegible] ქ. II ჩ. №66

ტელ: 599-87-9714.

პ.ნ: 01019004699.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

[illegible] ქ. [illegible] ქუჩის [illegible] [illegible] ქუჩის [illegible] [illegible] ქუჩის, [illegible] 112-ის [illegible], [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible]

შუბითიძე რამაზი

შუბითიძე კახა

შუბითიძე სოფიკო

შუბითიძე ნაზი

ბოჭორიშვილი ხატია

გოგიაშვილი ვალოდია

სადღობელაშვილი დალი

ქერდიკაშვილი გიორგი

დოლიძე ვალერი

ბლიაძე ნუგზარი

ყიფიანი გოგი

ყიფიანი ნელი

ტუსუღი ლია

დავითური არსენა

ჯანეზაშვილი შერმადინი

ლომიძე ნათია

ლომიძე ნოდარი

ცარციძე გუჯა

გრიგოლაშვილი გოჩა

წიკლაური ლეგანი

ცარციძე ნიკო

ტალახაძე გოჩა

ბექაური ვაჟა

შარმაიძე ბადრი

ხახიშვილი სპარტაკი

ხოსიაური დათო

წიკლაური ვიქტორი

წითურიძე ვაჟა

ყეინიშვილი ვალიკო

ცისკაძე როლანდი

ცისკაძე ალიმალი

დვალიშვილი გივი

ვარსიმაშვილი რამაზი

მარკოზაშვილი ზაზა

მარკოზაშვილი კახა

ვეშაგური ზურა

ხარაძე ბადრი

ქარელიშვილი გია

გევორქიანი ტიგრანა

გაგლოევი მერაბი

გოჯიაშვილი გია

თეთრუაშვილი სატო

ცისკაძე გივი

კობალაძე დიმიტრი

მახნიაშვილი ბესო

ციკაშვილი გოგიტა

ტაკაშვილი გიორგი

ჯელაძე ჯაბა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032308018**
თარიღი: **21/03/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ასლი:

ადრესატი: რამაზ შუბითიძე
პირადი ნომერი: 01019004699
მისამართი: თბილისი გვაზაურის II შეს. N 66

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

თავმჯდომარეს

ქალბატონ ნინო ვარდონასიძე

ქალბატონო ნინო,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლობაში შემოვიდა მოქალაქე რამაზ შუბითიძის განცხადება (N 19/032307567-03; 14.03.2023) დამისამართების თხოვნის თაობაზე.

განცხადებიდან ირკვევა, რომ გვაზაურის ქუჩის II-ის შესახვევის N 66 -ში, მცხოვრებ მოსახლეობას აქვს პრობლემა, ქუჩის არასწორად დამისამართებასთან დაკავშირებით. დეტალური ინფორმაცია, აღწერილია განცხადებაში, რომელსაც გიგზავნით განსახილველად.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული განცხადება, გაითვალისწინოთ მოქალაქეთა თხოვნა და გაუწიოთ დახმარება თქვენი კომპეტენციისა და კანონის ფარგლებში. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, პასუხი აცნობეთ მოქალაქეს და წარმომადგენლობას.

დანართი : „2" (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ირაკლი ხელაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
მაჟორიტარი წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032309591**
თარიღი: **05/04/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი წევრის ირაკლი ხელაძის 2023 წლის 21 მარტის საქმე #11-032308027-03 დაკავშირებით, რომლითაც შუამდგომლობს გვაზაურის ქუჩის მოსახლეობას, რომლებიც ითხოვენ მისამართის შესწორებას.
მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ გვაზაურის II შესახვევის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01231151018**
თარიღი: **25/04/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 05.04.2023 წლის #03-032309591 (05.04.2023 წ. #14-01230953160-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გიორგი ძოწენიძე

(1910-1976)

ქართველი გეოლოგი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ,საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1957-1959 წლებში გიორგი ძოწენიძე იყო თსუ-ის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის გამგე, ხოლო 1958-1959 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პასუხსაგებ მოვალეობას ასრულებდა.

გიორგი ძოწენიძე დაიბადა ქალაქ ქუთაისში, მუშის ოჯახში. 1925 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც 1929 წელს წარმატებით დაასრულა. ცნობილმა გეოლოგმა ალექსანდრე თვალჭრელიძემ იგი სწავლის პერიოდში მიიწვია ლაბორანტად მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრაზე, ხოლო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ძოწენიძემ – ასპირანტურაში განაგრძო სწავლა. აქ იგი წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. ქართული გეოლოგიური სკოლის ჩამოყალიბების პირველ პერიოდში მის ცნობილ დამაარსებლებს ალექსანდრე ჯანელიძეს, ალექსანდრე თვალჭრელიძეს და კალისტრატე გაბუნიას — გიორგი ძოწენიძის პირველ მასწავლებლებს — არ ჰყოფნიდათ კვალიფიციური კადრები იმ მრავალი პრობლემის გადასაჭრელად, რომელიც სამამულო გეოლოგიის წინაშე იდგა. ამიტომ კათედრაზე მუშაობის პარალელურად ძოწენიძე სათავეში ჩაუდგა საველე გეოლოგიურ პარტიებს, რომლებიც იმხანად სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულ საბადოებს ეძიებდნენ, რათა

ისინი შეესწავლათ და ხალხის სამსახურში ჩაეყენებინათ. მრავალმხრივი იყო გიორგი ძოწენიძის მეცნიერული ინტერესები, მაგრამ მან იმთავითვე თავისი მოღვაწეობის ძირითად მიმართულებად პალეოვულკანოლოგია და დანალექ ქანთა კვლევა აირჩია. მან გამოიკვლია ზემო რაჭისა და ქვემო სვანეთის დარიშხანი, ზემო სვანეთის ანთიმონიტი, აჭარის გოგირდ-კოლჩედანი, საქართველოს სხვადასხვა კუთხის პოლიმეტალები, აგრეთვე ბარიტის, ფოსფორის, ნალციმის და მრავალი სხვა საბადო.

მისი პირველ ფუნდამენტურ ნაშრომს პალეოვულკანოლოგიაში წარმოადგენს 1938 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „საქართველოს შუაიურული ვულკანოგენური წყების პეტროგრაფიის შესახებ". აქ მან პირველმა აღნიშნა კავკასიონზე თავისებური ვულკანიტების, სპილიტების არსებობა, ამასთან დაადგინა, რომ სპილიტები აღნიშნული წყების მხოლოდ ქვედა ჰორიზონტებს ქმნიან, დამაჯერებლად აჩვენა, რომ იურული ვულკანური წარმონაქმნები წარმოადგენენ კირტუტიანი ვულკანიზმის კანონზომიერი განვითარების სურათს.

მომდევნო წლებში გიორგი ძოწენიძე გატაცებით აგრძელებდა საქართველოს მიოცენამდელი წარმონაქმნების შედარებით შესწავლას, განსაკუთრებით ფართოდ აშუქებდა მათ პეტროქიმიურ ბუნებას და ვულკანიზმის ევოლუციის ხასიათს. ამ მრავალწლიანი გამოკვლევების ციკლის დამაგვირგვინებელი იყო 1948 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია — „საქართველოს მიოცენამდელი ეფუზიური ვულკანიზმი". ამ შესანიშნავმა ნაშრომმა დიდი როლი შეასრულა სამამულო პეტროლოგიის განვითარებაში.

თვალსაჩინოა გიორგი ძოწენიძის დამსახურება საქართველოს დანალექი წყებების კვლევის საქმეში. ამ მიზნით მან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტში ჩამოაყალიბა ლითოლოგიის განყოფილება. მისი ხელმძღვანელობით და მისივე უშუალო მონაწილეობით ტარდებოდა საქართველოს დანალექი ფორმაციების ლითოლოგიური შესწავლა. ამ სფეროში მნიშვნელოვანი ნაშრომების რიცხვს მიეკუთვნება 1961 წელს გამოქვეყნებული მისი მონოგრაფია — „საქართველოს შუაიურული ნახშირიანი ნალექების ზოლის ლითოლოგია და პალეოგეოგრაფია". მნიშვნელოვანია გამოკვლევები, რომლებიც მან მიუძღვნა გეოლოგიაში სრულიად ახალ მეცნიერულ მიმართულებას — ვულკანიზმის როლს დანალექი ქანებისა და მადანთწარმოებაში.

ძოწენიძე იყო ვულკანოლოგთა და სედიმენტოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის, ბულგარეთის და ლონდონის გეოლოგიისა და აშშ-ის გეოგრაფიის საზოგადოებების წევრი.